



A TARIEL ZIVZIVADZE PROJECT

## ISBO7 FAQ - ხშირად დასმული შეკითხვები

[გაერთიანებული]

ამ ფაილში გაერთიანებული სახით დევს სტუდენტების თუ სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან ყველა შემოსული შეკითხვა და მათზე პასუხები. ფაილი პერიოდულად ახლდება. არსებობს ამ ფაილის როგორც ქართული ასევე მისივე იდენტური ინგლისურენოვანი ვერსია. ყველა პასუხს გასცემს და ამ ფაილს გააახლებს თავად **ISBO7**-ს მმართველი ბნ. ტარიელ ზივზივადე.

---

### შეკითხვები:

1. რამდენი წელია რაც საერთაშორისო სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადა ტარდება?
2. სად შეიძლება ვნახო შეჯიბრის მექანიზმის - B-STRAT-ის დეტალური აღწერილობა? რა დრო შეიძლება დაჭირდეს მონაწილეობას?
3. რამდენ გამარჯვებულზე განაწილება საპრიზო ფონდი? გარდა სერტიფიკატისა რას მომცემს მე ეს ოლიმპიადა? რამდენად ღირებული მიღებული სერტიფიკატი?
4. რა არის სტუდენტთა რეიტინგის აზრი და რამდენად ღირებულია მიღებული Business რეკომენდაცია?
5. რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნეს რეკომენდაცია LinkedIn.com სოციალურ ქსელში, რომელიც ელიტ რაუნდის მონაწილეებს ეძლევათ სურვილის შემთხვევაში?
6. რა არის სტუდენტური ID, რომელიც რეგისტრაციის ფორმაშია მითითებული და როგორ შეიძლება მისი მიღება?
7. შესაძლებელია თუ არა ISBO7-ში იურიდიული ან სხვა ფაკულტეტის/სპეციალობის სტუდენტებმა მიიღონ მონაწილეობა?
8. შეუძლიათ თუ არა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს შექმნან ერთი გუნდი და იმ გუნდით მიიღონ მონაწილეობა?
9. სარგებლობენ თუ არა უცხოური უნივერსიტეტების უცხოელი სტუდენტები რაიმე უპირატესობით?
10. შეკითხვა ლექტორისაგან: რას მისცემს ჩემს სტუდენტებს ეს ოლიმპიადა და რატომ უნდა ვურჩიო მასში მონაწილეობა?
11. რა უპირატესობებით სარგებლობენ პარტნიორი უნივერსიტეტები და მათი სტუდენტები?
12. აუცილებელია თუ არა რეგისტრაციის ფორმაში პედაგოგის მითითება? რა აზრი დევს ამ ქმედებაში?
13. ვის და როგორ შეუძლია საერთაშორისო სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადის ელიტ რაუნდში მონაწილეობის მიღება?
14. სად შეიძლება ვნახო დამატებითი ინფორმაცია 2011 წლის განმავლობაში და მანამდე საერთაშორისო სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ?

15. რატომ არის B-STRAT ოლიმპიადის ფარგლებში შეჯიბრის ერთადერთი მექანიზმი? ხომ შეიძლებოდა ყოფილიყო რამოდენიმე ეტაპი სადაც იქნებოდა Case Study, გუნდური დავალებები და პრეზენტაციები?
16. მინდა ISBO7-ში მივიღო მონაწილეობა. რით დავიწყო?

#	შეკითხვა:	პასუხი:
1	რამდენი წელია რაც საერთაშორისო სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადა ტარდება?	სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადა 2006 წლიდან ტარდება : პირველი - 2006 წლის შემოდგომაზე, მეორე - 2007 წლის გაზაფხულზე, მესამე - 2007 წლის შემოდგომაზე, მეოთხე - 2008 წლის შემოდგომაზე, მეხუთე - 2009 წლის გაზაფხულზე, მეექვსე - 2011 წლის განმავლობაში [საერთაშორისო]. მიმდინარე ოლიმპიადა რიგით არის მეშვიდე. სრული ინფორმაცია ადრე ჩტარებული ოლიმპიადების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ პროექტის ოფიციალურ ვებსაიტზე - <a href="http://www.isbo.ge">www.isbo.ge</a>
2	სად შეიძლება ვნახო შეჯიბრის მექანიზმის - B-STRAT-ის დეტალური აღწერილობა? რა დრო შეიძლება დაჭირდეს მონაწილეობას?	<p>B-STRAT-ის დეტალური აღწერილობა და პრეზენტაცია შეგიძლიათ პროექტის ვებსაიტიდან ჩამოტვითოთ.</p> <p>უნდა ივარაუდოთ, რომ როცა B-STRAT-ის კონკრეტულ რაუნდში მონაწილეობთ ამას კვირაში საშუალოდ 4 საათი დასჭირდება. თავიდან 10-15 საათი სიტუაციაში გარკვევა და მასალების შესწავლა. დანარჩენი კი უკვე მონაწილეზეა დამოკიდებული.</p> <p>შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობა უფასოა, მაგრამ მაინც ... სანამ რეგისტრაციის ფორმას შეავსებთ აჯობებს კარგად გაეცნოთ სისტემას და ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოთ. გთხოვთ აუცილებლად ეწვიეთ <a href="http://www.isbo.ge">www.isbo.ge</a> -ს და ნახეთ/ჩამოტვირთეთ//წაიკითხეთ ინგლისურენოვანი და/ან ქართულენოვანი ინფორმაციის პაკეტები. იქ სრულად არის მოცემული ყველი საჭირო ინფორმაცია.</p> <p>ISBO7-ში მონაწილეობა სავარაუდოდ მოითხოვს საშუალოდ 55-60 საათს 4 თვის განმავლობაში - სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.</p>

3	<p>რამდენ გამარჯვებულზე განაწილება საპრიზო ფონდი? გარდა სერტიფიკატისა რას მომცემს მე ეს ოლიმპიადა? რამდენად ღირებულია მიღებული სერტიფიკატი?</p>	<p>ISBO7-ში მზარდი საპრიზო ფონდი, რომელიც იწყება 3000 ლარიდან და შეიძლება ავიდეს 10,000 ლარამდე. იგი მინიმუმ 20 საუკეთესო სტუდენტზე. გასათვალისწინებელია, რომ ამ საპრიზო ფონდში შედის საშემოსავლო გადასახადიც, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით 20% შეადგენს. ანუ თუ სტუდენტმა მოიგო დაფუძვით 500 ლარი, მას პირად საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხება 400 ლარი, 100 ლარი კი საშემოსავლო გადასახადის სახით გადაირიცხება საქართველოს შემოსავლების სამინისტროს სათანადო ანგარიშზე.</p> <p>რა თქმა უნდა არის სერტიფიკატებიც. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა ოლიმპიადის ფარგლებში მიღებული შედეგი და დამსახურებული სერტიფიკატი მნიშვნელოვნად დაეხმარა სტუდენტს ან სტიპენდიის აღებაში ან სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობაში. ასევე არის რეკომენდაციაც. თუმცა ...</p> <p>გარდა საპრიზო ფონდის, სერტიფიკატისა და რეკომენდაციისა არსებობს 3 უნიკალური მიზეზი. თითოეული მათგანი დამატებით აზრს სძენს სტუდენტისათვის ამ პროექტში მონაწილეობას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ISBO7-ის შეჯიბრის მთავარი მექანიზმია სტრატეგიული ბიზნეს სიმულაცია - B-STRAT. ვირტუალურ ბიზნეს გარემოში სტუდენტური გუნდები აყალიბებენ ვირტუალურ კომპანიებს, აწარმოებენ და ვირტუალურ ბაზარზე ყიდიან პროდუქტებს, იგებენ ვირტუალურ ფულს და იმარჯვებენ. შემფასებელი არის თავად კომპიუტერული პროგრამა, რაც 100% ობიექტურობას უზრუნველყოფს. სტრატეგიულ სიმულაციაში მონაწილეობა თავისთავად არის უნიკალური გამოცდილება;</li> <li>2. ISBO7-ი ინტერნეტით ტარდება: გუნდების რეგისტრაცია, სტრატეგიული სიმულაციის რაუნდები და ყოველი კომუნიკაცია პროგრამის ადმინისტრატორთან ინტერნეტით მიმდინარეობს. B-STRAT სრულფასოვანი დისტანციური პროგრამაა. ეს კი საერთაშორისო ჩართულობას ყოველგვარი ზედმეტი დანახარჯების [მაგალითად მგზავრობის ხარჯი] გარეშე უზრუნველყოფს. საკმარისია გქონდეთ ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, დრო და მონდომება. არსად წასვლა საჭირო არ არის;</li> <li>3. ISBO7 რა თქმა უნდა შეჯიბრია, როგორც გუნდური, ასევე ინდივიდუალური. შეჯიბრი არის ის "მექანიზმი", სადაც რეალურად ვლინდება ადამიანის ბუნება.</li> </ol> <p>თითოეული ამ სამეულიდან უნიკალური გამოცდილება იქნება და თითოეული მათგანისათვის</p>
---	---	---

		<p>ღირს ISBO7 ში მონაწილეობა!</p> <p><b>გარდა ამისა საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობა უფასოა. ზემოთ ნახსენები გამოცდილების მიღება თქვენ უფასოდაც შეგიძლიათ.</b></p>
4	<p><b>რა არის სტუდენტთა რეიტინგის აზრი და რამდენად ღირებულია მიღებული Business რეკომენდაცია?</b></p>	<p>ISBO7-ში პირველად ჩატარების 6 წლიანი ისტორიის მანძილზე შედგება ელიტ რაუნდში მონაწილე სტუდენტთა რეიტინგი. ეს რეიტინგი ღიად გამოცხადდება დაჯილდოვების ცერემონიაზე და დაიდება პროექტის საიტზე.</p> <p>ელიტ რაუნდში მონაწილე ყველა სტუდენტი ამ რეიტინგის და B-STRAT-ში წარმატების საფუძველზე მიიღებს Business რეკომენდაციას, სადაც პროფესიონალურ დონეზე შეფასდება ISBO7-ში მისი მონაწილეობა. ამ რეკომენდაციაში დეტალურად მიმოიხილება სტუდენტის მიერ განვლილი გზა და გაკეთდება მისი მოსწრების შეფასება რიგი კრიტერიუმების მიხედვით. რეკომენდაციის გამოყენება შესაძლებელი იქნება სტუდენტის მიერ სამსახურის პოვნის პროცესში, სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობისას და ა.შ. რეკომენდაცია იქნება იმ ენაზე [ქართული ან ინგლისური], რა ენაზეც სტუდენტი მოითხოვს.</p> <p>ეს რეკომენდაცია განსაკუთრებულია პირველ რიგში იმიტომ, რომ აქ კრიტერიუმებად მოგვევლინება რეალურ ბიზნესში ფასეული თვისებები, საქმიანი უნარ-ჩვევები, რომელთა გამოვლენა სტრატეგიულ ბიზნეს სიმულაციაში მონაწილეობის შედეგად მოხდება. ამ სისტემას ზურგს უმაგრებს განვლილი 14 წლის მანძილზე ათასობის მონაწილისათვის B-STRAT-ის 46 ჩატარებული რაუნდი.</p>
5	<p><b>რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნეს რეკომენდაცია LinkedIn.com სოციალურ ქსელში, რომელიც ელიტ რაუნდის მონაწილეებს ეძლევათ სურვილის შემთხვევაში?</b></p>	<p>პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ LinkedIn.com არის ბიზნეს სოციალური ქსელი და ყველა სხვა პოპულარული სოციალური ქსელისგან პრინციპულად განსხვავდება. ნიმუშად შეგიძლიათ ნახოთ ISBO7 მმართველის, ბნ. ტარიელ ზივზივამის პროფილი აქ: <a href="http://www.linkedin.com/pub/tariel-zivzivadze/4/791/566">http://www.linkedin.com/pub/tariel-zivzivadze/4/791/566</a></p> <p>თუ თქვენ გნებავთ ჩამოყალიბდეთ პროფესიონალად, მაშინ ასეთი პროფილი და იქვე მითითებული ელექტრონული რეკომენდაცია მნიშვნელოვანია. ეს რეკომენდაცია ხილვადი იქნება თქვენი პროფილის ყველა სტუმრისათვის. რაც სამომავლოდ თქვენი პროფესიული კარიერის</p>

		ჩამოყალიბებაში თავის წვლილს შეიტანს.
6	რა არის სტუდენტური ID, რომელიც რეგისტრაციის ფორმაშია მითითებული და როგორ შეიძლება მისი მიღება?	სტუდენტური ID, რომელსაც რეგისტრაციის ფორმაში უთითებთ არის სასწავლებლის მიერ სტუდენტისათვის მინიჭებული მაიდენტიფიცირებელი ნომერი. ეს ნომერი ჩვეულებრივ დაბეჭდილ სტუდენტურ საშვზე არის დატანილი. ზოგ სასწავლებელს აქვს ეს სისტემა დანერგილი, ზოგს კი არა. თუ თქვენ გაქვთ სტუდენტური ID, მაშინ ჩასვით ეს ნომერი რეგისტრაციის ფორმაში. თუ არა, დატოვეთ გრაფა ცარიელი.
7	შესაძლებელია თუ არა ISBO7-ში იურიდიული ან სხვა ფაკულტეტის/სპეციალობის სტუდენტებმა მიიღონ მონაწილეობა?	რა თქმა უნდა! ISBO7-ში მონაწილეობისათვის ერთადერთი კრიტერიუმი არსებობს - მონაწილე უნდა იყოს სტუდენტი რეგისტრაციის მომენტში. ნებისმიერი უნივერსიტეტის, ნებისმიერი სპეციალობის, ნებისმიერი კურსის, ნებისმიერი ეროვნების და ა.შ. სტუდენტს მივესალმებით მთავარია მან იცოდეს ინგლისური ან ქართული ენა და ჰქონდეს ინტერნეტი.
8	შეუძლიათ თუ არა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს შექმნან ერთი გუნდი და იმ გუნდით მიიღონ მონაწილეობა?	დიახ, რა თქმა უნდა! თუმცა ასეთი სტუდენტებისგან შედგენილი გუნდი ელიტ რაუნდში უნივერსიტეტის ქვოტით ვერ მოხვდება. მას სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა მოუწევს. შესარჩევ რაუნდში ასეთი გუნდი რა თქმა უნდა უფასოდ მიიღებს მონაწილეობას.
9	სარგებლობენ თუ არა უცხოური უნივერსიტეტების უცხოელი სტუდენტები რაიმე უპირატესობით?	არა! წესები ყველასათვის ერთია!
10	შეკითხვა ლექტორისაგან: რას მისცემს ჩემს სტუდენტებს ეს ოლიმპიადა და რატომ უნდა ვურჩიო მასში მონაწილეობა?	უნივერსიტეტში სწავლის დროს სტუდენტის უპირველესი მოვალეობა და მიზანი არის არა თეორიული, არამედ პრაქტიკული/რეალური განათლების მიღება. ISBO7 სწორედ ამისთვისაა შექმნილი: თუ თქვენს სტუდენტს სურს რეალური/პრაქტიკული ბიზნეს განათლების მიღება, აქვს საკმარისი ამბიციის, სურს უნიკალური სტრატეგიული ბიზნეს სიმულაციით პრაქტიკულ ბიზნესში გამოსცადოს საკუთარი თავი, მიიღოს დისტანციური კურსის გავლის გამოცდილება, და რა თქმა უნდა იზრდოდეს ფულადი პრიზის და სერტიფიკატის მოსაგებად მაშინ ეს პროექტი მისთვისაა.  გარდა ამისა თქვენ შესაძლოა გასურდეთ დაინახოთ რა შეუძლიათ თქვენს სტუდენტებს ...

		მხოლოდ ლექციებზე სიარული, ქვიზების წერა, პრეზენტაციების კეთება თუ სხვა, უფრო პრაქტიკული რამ ...
11	რა უპირატესობებით სარგებლობენ პარტნიორი უნივერსიტეტები და მათი სტუდენტები?	<p>ISBO7 პარტნიორები არის პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა. ეს უმაღლესი სასწავლებლები გვერდში უდგანან ამ პროექტს და მხარს უჭერენ მის განვითარებას. ყველა უპირატესობა, რომელიც პარტნიორ სასწავლებლებს აქვთ 100% წინასწარ არის გამოცხადებული.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პარტნიორობა უკვე უპირატესობაა, ასოცირება ISBO7 თან ყველა კონკრეტული სახით. იქნება ეს პროექტის ოფიციალურ მასალებში დაფიქსირება თუ ვებსაიტზე/სერტიფიკატზე ლოგოს განთავსება.</li> <li>2. პარტნიორის 5 გუნდი ყველა შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას ელიტ რაუნდში უფასოდ. ყველა სხვა გუნდი იხდის სარეგისტრაციო მოსაკრებელს.</li> <li>3. პარტნიორ სასწავლებელში შეიძლება დაინიშნოს ადგილზე კონსულტაცია სტუდენტებთან;</li> <li>4. პარტნიორი უნივერსიტეტის 3 საუკეთესო სტუდენტი მიიღებს სერტიფიკატს, მიუხედავად იმისა მოხვდებიან თუ არა ისინი 20 საუკეთესოთა შორის. მათი 3 პედაგოგიც მიიღებს სერტიფიკატს;</li> <li>5. პარტნიორი უნივერსიტეტის ერთი საუკეთესო სტუდენტი მიიღებს მოპოვებული ქულების მიხედვით მოგებულ თანხას მიუხედავად იმისა მოხვდება თუ არა ის 20 საუკეთესოთა შორის. ანუ მაგალითად: თუ ყველა პარტნიორ უნივერსიტეტს თითო სტუდენტი მაინც ეყოლება საუკეთესო ოცეულში, საპრიზო ფონდი მხოლოდ 20 სტუდენტზე გაიყოფა მათი ქულების პროპორციულად. თუ საუკეთესო ოცეულში ვერ მოხვდება 3 პარტნიორი უნივერსიტეტის ვერცერთი სტუდენტი, მაშინ სამივე უნივერსიტეტის თითო საუკეთესო სტუდენტი მიიღებს საპრიზო თანხას და საპრიზო ფონდი 23 სტუდენტზე გაიყოფა მათ მიერ დაგროვილი ქულების პროპორციულად;</li> </ol> <p>სხვა უპირატესობა პარტნიორ სასწავლებლებს და მათ სტუდენტებს არ აქვთ!</p>
12	აუცილებელია თუ არა რეგისტრაციის ფორმაში პედაგოგის მითითება? რა აზრი დევს ამ ქმედებაში?	ISBO7 მონაწილე სტუდენტებს თავიდანვე შეუძლიათ რეგისტრაციის ფორმაში მიუთითონ ის პედაგოგი, რომელსაც ისინი საჭიროდ ჩათვლიან. პედაგოგის მითითება აუცილებელი არ არის. ამ ქმედების აზრი იმაშია, რომ სტუდენტებს შეუძლიათ თავისი პედაგოგისადმი პატივისცემა გამოხატონ. თუ სტუდენტი ოლიმპიადაზე გაიმარჯვებს და სერტიფიკატს მიიღებს, მისი პედაგოგი

		<p>ასევე მიიღებს სერტიფიკატს. ერთიდაიგივე პედაგოგი შეიძლება რამოდენიმე გუნდმა მიუთითოს თუ სტუდენტები ამას საჭიროდ ჩათვლიან.</p> <p>სტუდენტებს შეუძლიათ პედაგოგი [საუბარის უნივერსიტეტის პედაგოგზე] თავიდან არ მიუთითონ რეგისტრაციის ფორმაში, მაგრამ მოგვიანებით შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება და აცნობონ ოლიმპიადის ადმინისტრატორს. თუ გუნდი პედაგოგს ერთხელ მიუთითებს, მისი შეცვლა არ მოხდება.</p>
13	<p>ვის და როგორ შეუძლია საერთაშორისო სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადის ელიტ რაუნდში მონაწილეობის მიღება?</p>	<p>დასაწყისისათვის უნდა ითქვას, რომ ISBO7 შესარჩევ რაუნდში ყველა სტუდენტს უფასოდ შეუძლია მონაწილეობა. ელიტ რაუნდში კი სტუდენტის და მისი გუნდის მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ სამი გზით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ISBO7 პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდმა მონაწილეობა მიიღოს შესარჩევ რაუნდში და ელიტ რაუნდში გავიდეს მისი უნივერსიტეტის ქვოტით. ყოველ პარტნიორ უნივერსიტეტს აქვს ელიტ რაუნდში 5 გუნდის ქვოტა. ჩვეულებრივ ამ 5 ადგილს დაიკავებენ მისი საუკეთესო გუნდები, რომელთაც თავიანთი უპირატესობა დაამტკიცეს შესარჩევ რაუნდზე. თუმცა ელიტ რაუნდში ამ ქვოტით შეიძლება მოხვდეს გუნდი, რომელსაც შესარჩევ ეტაპზე არ მიუღია მონაწილეობა. ქვოტით გასული გუნდები არ იხდიან სარეგისტრაციო მოსაკრებელს.</li> <li>2. სტუდენტთა გუნდი ელიტ რაუნდში მოხვდეს დამოუკიდებლად, პარტნიორი სასწავლებლის ქვოტის გვერდის ავლით. ამ შემთხვევაში გუნდი იხდის სარეგისტრაციო მოსაკრებელს - 50 ლარს [შესარჩევ რაუნდში რა თქმა უნდა უფასოდ მონაწილეობს] . ეს თანხა მთლიანად დაემატება ISBO7 საპრიზო ფონდს.</li> <li>3. თუ გუნდი გვიან გაიგებს ISBO7-ის შესახებ ან შესარჩევ რაუნდში ვერ მოიპოვეს ელიტ რაუნდის საგზურს და მაინც სურს ელიტ რაუნდში მონაწილეობა, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში გუნდი იხდის სარეგისტრაციო მოსაკრებელს - 100 ლარს. ეს თანხა მთლიანად დაემატება ISBO7 საპრიზო ფონდს.</li> </ol> <p>ნებისმიერ შემთხვევაში ელიტ რაუნდში გუნდების რაოდენობა არ იქნება 100-ზე მეტი.</p>
14	<p>სად შეიძლება ვნახო დამატებითი ინფორმაცია 2011 წლის განმავლობაში</p>	<p><a href="http://www.isbo.ge">www.isbo.ge</a> პროექტის ოფიციალური ვებ გვერდია სადაც 2011 წელს ჩატარებული ყოველი აქტივობის შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა დაწერილი, ასევე ძველი ოლიმპიადების შესახებ</p>

	და მანამდე საერთაშორისო სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ?	ინფორმაცია. ვებ საიტი 2011 წლის დასაწყისში შეიქმნა, ამიტომაც ძირითადად 2011 წლის აქტივობების შესახებ ინფორმაციაა განთავსებული.
15	რატომ არის B-STRAT ოლიმპიადის ფარგლებში შეჯიბრის ერთადერთი მექანიზმი? ხომ შეიძლება ყოფილიყო რამოდენიმე ეტაპი სადაც იქნებოდა Case Study, გუნდური დავალებები და პრეზენტაციები?	პირველი, მეორე, და მესამე ოლიმპიადების დროს 2006-2007 წლებში გვქონდა რამოდენიმე ეტაპი, და ყველა იყო offline აქტივობა. იყო ტესტირებები, რეალური დავალებები, პრეზენტაციები. მაგრამ ყველაფერი ეს ძალიან ძვირი უჯდებოდათ პროექტის სპონსორებს. საერთაშორისო მასშტაბზე გასასვლელად მსგავსი ფორმატი საკმაოდ ძვირიანი ინიციატივა გამოდიოდა, რომლის სპონსორის მოძიებაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.  2008 წლიდან ოლიმპიადა წმინდა ინტერნეტ პროექტი გახდა. ამას საშუალება მოგვცა მინიმუმამდე დაგვეყვანა პროექტის განხორციელების ხარჯი, რის გამოც უნდა პირდაპირ ითქვას რომ პროექტი გადარჩა და დღემდე ტარდება. მას შემდეგ ჩვენი ამოცანა არის ის, რომ ხარჯები იყოს მინიმალური, ფულადი საპრიზო ფონდი კი მაქსიმალური. გარდა ამისა წმინდა ინტერნეტ ფორმატი აადვილებს საერთაშორისო ჩართულობას. უცხოელ სტუდენტს ძალიან ადვილად შეუძლია ინტერნეტით პროექტში ჩაერთოს.
16	მინდა ISBO7-ში მივიღო მონაწილეობა. რით დავიწყო?	<ol style="list-style-type: none"> <li>1. გთხოვთ ეწვიეთ <a href="http://www.isbo.ge">www.isbo.ge</a> და გაეცანით ISBO7-ის ყველა მასალას. თუ შეკითხვები გაგიჩნდებათ დაუკავშირდით პროექტის მმართველს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე.</li> <li>2. ჩამოაყალიბეთ გუნდი [თუმცა შეგიძლიათ თქვენ მარტომაც მიიღოთ მონაწილეობა]. გუნდში უნდა იყოს არაუმეტეს 4 სტუდენტი;</li> <li>3. ვებსაიტიდან ჩამოტვირთეთ რეგისტრაციის ფორმა და შეავსეთ ან ინგლისურად ან ქართულად. ფონტი შეგიძლიათ აარჩიოთ თქვენი შეხედულებისამებრ, თუმცა აჯობებს Sylfaen.</li> <li>4. რეგისტრაციის ფორმა დანართებთან ერთად გამოაგზავნეთ ფორმაშივე მითითებულ ელექტრონულ მისამართებზე იქვე მითითებულ დედლაინამდე.</li> <li>5. დაელოდეთ დასტურს ადმინისტრატორისგან;</li> </ol> <p><b>ISBO7 შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობა უფასოა!</b></p>



